წელიწადი 1-ლი — ოთხშაბათი, 13 ოქტომბერი — ფასი 15 მან.

# ბათომის ფურცელი

გაზეთი ღირს თვიურად . . . 300 მან.
განცხადების ფასი:
1 გვერდზე პეტიტის სტრიქონი . . 30 მან.
4 " " . . . 15 მან.
სამგლოვიარო განცხადების ფასი შეთანხმებით.

ხელმოუწერელ წერილებს რედაქცია არ მოათავსებს და მათ შესახებ არავითარ მოლაპარაკებას არ იკისრებს. წერილები უნდა იყოს დაწერილი ერთ გვერდზე და სუფთად.
რედაქტორის ნახვა დრ. შეიძლება მარინეს პროსპექტზე № 13 დილის 11 საათ. 2 საათამდის. სარედაქციო კოლეგიის მდივანის ნახვა შეიძლება შმავერის სტამბაში 1 საათ. საღ. 5 ს.

№ 27 — ყოველ-დღიური დემოკრატიული ორგანო — № 27

ელექტრო თეატრი „აპოლლო"
ნ. დ. ბროლვალ-სხირტლაძის

კვირიდან 7 ოქტომბრიდან 1920 წ. იქნება ნაჩვენები ახალი თვალსაჩინო პროგრამა

ანდრეი კორნელის

დრამა პოლ ბურჟეს რომანის მიხედვით. მთავარი როლში ბ. ჟუზე.

დასასრულ კარაპუზი და არწივის თვალი.
კომიკური.

ყურადღება: თვალ-ყური ადევნეთ მსოფლიოში ცნობილ სურათებს, 1 ანნა კარენინა, 2 კალ. ფორნიის ბჟირი.

ლია ჰაერზე, ახალი სპეციალური საზაფხულო ელექტრო თეატრი
„ტრიუმფი"
ნ. ბროლვალ-სხირტლაძის
სურათები იჩვენება ყველა ნაირ ამინდში, სურათების ჩვენების დროს უკრავს პირველხარისხოვანი მუსიკა, რომელთაც ხელმძღვან. ტრიო-რუდკოვსკი

კვირიდან, 1920 წლის 10 ოქტომბრიდან ნაჩვენები იქნება ახალი სურათი.
მიძღვნილი ქალისადმი, რომელიც საუკუნოების განმავლობაში, ჩვენ დღემდე, მატარებელი სიკეთის და ბოროტების
მუდმივი მაცდური.
4 ნაწილად, საუცხოვო დადგმა, და წარმტაცი დრამები ცნობილ ქალების ცხოვრებიდან.
დასასრულ ჭორიკანები კომიკური

ყურადღება: მზადდება და ნაჩვენები იქნება კინემატოგრაფიის შედევრი ცეცხლის თაყვანისმცემლები. დაწვრილებით თავის დროზე

შმაევსკის თეატრი
| სახალხო წარმოდგ. მმართველი წრე |
№ 4.
ოთხშაბათი, 13 ოქტომბერი
წარმოდგენილ იქნება
ია. ეკალაძის
№ 21 +
(ნომერი ოცდა ერთი ჯვრით),
დრამა 4 მოქმედებათ.
რეჟისორი ივ. ბარველი.
მონაწილეობენ: აბაკელია ქ., ბარველი ივ., ბარათაშვილი., ნასარიძე წ. მდივანი მ., მიქაბერიძე კ., მარგველაშვილი ვ., სიხარულიძე ე., ძნელაძე დ., ლამბაშიძე შ., ქურული გ., ქურული ბ., ხარაბაძე ა., ჭავჭანიძე ი.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია — დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.
შემდეგი წარმოდგენა კვირას, 17 ოქტომბერს მზადდება
ტრ. რამიშვილის „სტუმარ-მასპინძლობა.
სახ. წარმ. მმართველი წრის ადმ-ცია.

გამყრელიძის ცირკი.

ოთხშაბათი, 13 ოქტომბერი.
მონაწილეობენ ახლად ჩამოსული მსახიობები.
დღეს ჭიდაობს სამი წყვილი:
1) ჩემპიონატის ყველა ფალავნების ჭიდაობაზე გამომწვევი
მუშა—შავკანიან ფალავანის ტომსაარის წინააღმდეგ.
2) ძალა ძალის წინააღმდეგ, ბათომის შავი ნიღბით. მსოფლიო ჩემპიონი რუსეთის ჩემპიონის
წინააღმდეგ ტურომეცი—ერმაკოვის წინააღმდეგ.
3) გადამწყვეტი ჭიდაობა
უცნობი—წითელი ნიღბის წინააღმდეგ.
ანონსი: ამ დღეებში შესდგება გრანდიოზული ცნობილი ფალავანის ევროპის ჩემპიონის პავლე ზავგორუიკო ბენეფისი.
მზადდება მსოფლიო სენსაცია, მეოცე საუკუნის ამოცანა.

## საქართველოს სოც. ფედერალისტთა სარ. პარტია

შაბათს, 16 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე ქალაქის თვითმართველობის დარბაზში დანიშნულია

**პარტიული კრება.**

მოხსენებას წაიკითხავს დამფუძნებელი კრების წევრი ამხ.
**სიმონ მდივანი**
საკონფერენციო და სხვა საკითხებზე.
ამხანაგებისათვის დასწრება აუცილებელია.
საქ. სოც. ფედ. სარ. პარტიის ბათომის კომიტეტი.

## საქართველოს სოც. დემოკრატიულ მუშათა პარტიის ბათომის კომიტეტი

აცხადებს პარტიის წევრთა საყურადღებოდ, რომ კვირას 17 ოქტომბერს, გამყრელიძის ცირკში დანიშნულია პარტიის წევრთა

**საზოგადო კრება.**

დღის წესრიგი: 1) მოხსენება მომენტზე—გ. ანჯაფარიძე და [illegible], 2) შრომის კომისარის —ა. წულაძის მოხსენება, 3) კ. გოგოლაძის მოხსენება კომიტეტის მოქმედების შესახებ, 4) არჩევნები კომიტეტის წევრების და 5) მიმდინარე კითხვები.
კომიტეტი

## განცხადება
### ბათომის მუშათა მაგიდა

13 ამა ოქტომბრიდან დაარიგებს **ხახვს და წუმწუმას.**
ხახვი სახელმწიფო დაწესებულებაში მომუშავეთათვის—გირვანქა 20 მან.
კერძო საზოგადოებრივთათვის " 25 მან.
წუმწუმა თითო ყუთი 2 მან. და 50 კაპ. ხახვი კი მიეცემათ მხოლოდ ცოლშვილიანებს სულზედ 3 გირვანქა
მუშათა მაგიდა.

## ბათუმი 13 ოქტომბერი.

მთავრობის თავმჯდომარის მთელი რიგი ბრძანებებისა, რომლებიც ამ დღეებში ესმინა რესპუბლიკას, პრინციპიულ კამათს იწვევს დედა ქალაქის პრესაში.

მთავრობის თავმჯდომარემ მოულოდნელად ბრძანებით მიმართა თბილისის თვითმმართველობას პურის გამოცხობის და მის მიწოდებაში გამქრვებულ ბოროტების გამო.

ერთნი აქ დემოკრატიზმის ლალატს სჭვრეტენ, მეორენი კი ბრძანებას მომენტის მიზანშეწონილობად სთვლიან.

რა არის დემოკრატიზმი? ის არ არის განყენებული ნავარდი აზროვნების ილუზიაში. დემოკრატიზმი ხალხის მრწამსია იმდენად, რამდენადაც იგი სამართველგამგეობო დარგების გახალხოსნებას ანამდვილებს.

მაგრამ ამ დემოკრატიზმს, თუ დემოკრატიულ სამოსელშივე ბოროტების წყალი შეუდგება, მაშინ ვინ იქნება უციცი, რომ ამ წყლის გამომშვები დაჰგმოს.

## საქართველოს სახელმწიფო ბანკის ბათომის განყოფილება

ხსნის თავის ოპერაციებს 18 ოქტომბრიდან. ბანკის სალარო ღია იქნება 10—1 საათამდე. მოქალაქენი, რომელთაც სურთ მიიღონ კრედიტი ბანკში, შეუძლიათ შემოიტანონ განცხადება კრედიტის გახსნის შესახებ 15 ოქტომბრიდან. ბანკის შენობა—დონდუკოვო—კორსაკოვის ქუჩა № 8.

პიროვნების გაღმერთების და მისი დიქტატორობის ჩვენ საერთოდ წინააღმდეგი ვართ.

არც ერთს და არც მეორეს საქართველოში ადგილი არ აქვს. აქ ნოე ჟორდანია, ქართველი ხალხის ბელადი, და ახლა კი რესპუბლიკის მთავრობის მეთაური, განსაკუთრებულ უფლებით აღჭურვა დამფუძნებელ კრების დიდმა უმრავლესობამ. იურიდიულ კამათში ამ გზაზე საკითხი უბრალოდ სწყდება. ნოე ჟორდანიას საგანგებო უფლებები ჰქონია დამფუძნებელ კრების დიდი უმრავლესობისგან. თავის თავად ცხადია, რომ ნოე ჟორდანიას აქედან მთელი ხალხის აბსოლიუტური ნდობაც აქვს და ამის მერე ლოღიკის პატივისმცემელი როგორ იტყვის: ნოე ჟორდანიამ ეს უფლებები რისთვის იხმარაო.

მაშინ პასუხისგებაში უნდა მიგვეცათ დამფუძნებელი კრება და ხალხი, რომელმაც ეს კრება აირჩია.

როცა მოქალაქურ ცხოვრებაში სიმახინჯე მეფდება, თვითმმართველობის სივრცეზეც კი ბოროტების უფსკრული ითხრება, აქ ზარალში დემოკრატია და დემოკრატიზმია, აქ იჩაგრება ინტერესი მოქალაქეთა და ამ დროს მედგრად ხმის შემახები, გონს მომყვანი ერს სჭირდება და ამ გვარ როლში კიდეც გამოვიდა ნოე ჟორდანია.

შესაძლებელია არსებული მდგომარეობა რომ დაეტოვებიათ, მაშინ საათობით წამხდარიყო საქმე,—საერთაშორისო მდგომარეობის არა ნორმალობას და შინაურ საძირკვლის ალაგ ალაგ ლპობას ჩვენ ყველანი საბედისწერო კლდეზე გადავეჩეხეთ.

მაშინ რას გვიშველიდა პრინციპიული დავა? ჩვენში მთავრობის მოქმედება კრიტიკისგან და მსჯავრის დადებისგან თავისუფალი არ არის. დამფუძნებელი კრება მის შესახებ თავის სიტყვას იტყვის და გული ნიავის დაწყდება ამ მხრით. მომენტის სერიოზულობის მიხედვით მთავრობის თავმჯდომარის ბრძანებები უაღრესად მიზანშეწონილად უნდა მივიჩნიოთ და იგი ნამდვილად დემოკრატიის, მოქალაქეთა ინტერესებით გამოწვეულად უნდა ჩავთვალოთ.

# რადიო.

მიღებულია 12 ოქტომბერს.

ლოიდ ჯორჯი ირლანდიის შესახებ.

გუშინ ლოიდ-ჯორჯმა კარნავონში სიტყვა წარმოსთქვა ირლანდიაში მდგომარეობის შესახებ. მან მიუთითა, რომ ერთი წლის განმავლობაში მოხდა თავდასხმა 283 პოლიციელზე, იმათგან 109 მოკლული იქნა, ჯარის კაცებიდან დაახლოვებით მოკლული იქმნა 100 კაცამდე, უფრო მეტ რიცხვზე აჯანყებულებმა თავდასხმა მოახდინეს.

სასამართლო დაწესებულებათა 27 შენობა დასწვეს, ხშირათ ხდებოდა თავდასხმები პოლიციელთა პოსტებზე.

პოლიცია ორი წლის განმავლობაში ითმენდა ამას და მით თავის დისციპლინას და მორჩილებას ამტკიცებდა. გასაკვირი არ არის, რომ მათი მოთმინების ფიალა აივსო. იმ დროს, როცა სინ-ფეინერები განაგრძობდენ მკვლელობას, პოლიცია, რომლისგანაც პროტესტის ერთი სიტყვაც არ გვსმენია. იძულებული იყო მხოლოდ თავდაცვა გაწარმოებია ეს არ იყო ომი—ეს იყო ნამდვილი მკვლელობა. განა ჩვენ იმისთვის გვყავდა პოლიციელები ირლანდიაში, რომ ისინი ქუჩაში მოეკლენ, როგორც ძაღლები?

წესრიგი აღდგენილი უნდა იქმნას სასტიკი და მკაცრი ზომების მიღებით, თორემ მხარეში ანარქია გამეფდება. მკვლელების პატარა რაზმი, ნამდვილ ბოროტ-მოქმედებათა ბრბო ბატონობს მთელ მხარეზე. იქ ამეფებული შიშიანობა და ტერორი სამართლებას არ აძლევს გონიერ ელემენტებს შეკავშირდენ და გამოიმუშავონ ქვეყნის მართვა-გამგეობის უკეთესი ფორმები.

ირლანდიის ინტერესები მოითხოვს რაც შეიძლება დაჩქარებით იქნას განდევნილი ეს ბრბოები და შეუდგენ ლონისძიებათ ირლანდიის თვითმართველობის ფარგლებში.

შემდეგ პრემიერმა განაცხადა: ერთად ერთი რაც დააკმაყოფილებს საზოგადოებრივ აზრს—ეს შექმნა დამოუკიდებელი რესპუბლიკის. მთავრობამ განაცხადა, რომ გომრული მისცემდა ირლანდიას ყოველგვარ შემსუბუქებას.

## უკანასკნელი ცნობები

არტაანის შესახებ.

ქ. არტაანიდან შემდეგი ცნობა მოგვივიდა: ქალაქის მეორე ნაწილი უსაზღვრო სიხარულით შეეგება საქართველოს ჯარის ხელში გადასვლას ქალაქის ამ ნაწილის. მუსლიმანობა ალტაცებულია. ქალაქში სრული მშვიდობიანობა სუფევს.

# ქრონიკა.

12 ოქტომბერს საზღვარ-გარეთიდგან ჩამოვიდა ბათუმში სომხეთის მთავრობის ყოფ. თავმჯდომარე ა. ი. ხატისოვი.

საგანგებო კომისარმა ბ. გ. ჩხიკვიშვილმა წასვლისას გამოსცა შემდეგი განკარგულება: მივემგზავრები რა 11 ოქტომბრიდან შვებულებაში, ოქტომბრის დამლევამდე ჩემი თანამდებობის ასრულებას ვავალებ ჩემს თანაშემწეს გენერალ ზ. ა. მდივანს.

საგანგებო კომისარს მიუვიდა შინაგან საქმეთა სამინისტროდან დაწვრილებითი ინსტრუქცია შესახებ ბათუმში არსებულ საბანკო კონტორების ლიკვიდაციის და სპეკულიანტების საზღვარ-გარეთ გაგზავნის თაობაზე.

დღეს 13 ოქტომბერს სახალხო წარმოდგენების მმართველი წრის მიერ შმაევსკის თეატრში წარმოდგენილი იქნება ია ეკალაძის ცნობილი პიესა რევოლიუციონურ მოძრაობიდან № 21-ით.

11 ოქტომბერს სალამოს სასკოლო განყოფილების გამგის ბ. გოგოლაძის თავმჯდომარეობით მოხდა თათბირი ქალაქის დაწყებითი სკოლების გამგეთა.

სომხეთა სკოლის მასწავლებლად თათბირმა მოიწვია ქ-ნი ალიხანოვისა. ამ სკოლის 8 კომპლექტისთვის თათბირმა ბინად აირჩია ვაჟთა უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელი, სადაც ბავშვები ნაშუადღევს იმეცადინებენ. ხამი კომპლექტი კი დაინავდება სომხეთა კლუბის შენობაში, რაც შეპირდა ბ. გოგოლაძეს კლუბის გამგეობა. თათბირს მიენდო დაწვრილებითი შემუშავება იმისი, თუ საძლო და სასურველი

## სადღეისო შენიშვნები.

### მოსკოვი და ლონდონი.

(დასასრული, იხ. «ბ. ფ.» № 25-26).

თავის თავად ცხადია, რომ ევროპის შეგნებული მშრომელთა მასა უარყოფითი აფასებს ბოლშევიკურ მეთოდებს და იქაც კი, სადაც მუშათა მოძრაობა ჩვეულებრივ ფორმებს სცილდება, ის მაინც არ იღებს წმინდა ბოლშევიკურ სახეობას (მაგ. იტალიაში). ერთი რამ უდავოა.

— ომმა დიდი ცვლილებები გამოიწვია არა მარტო მსოფლიოს ეკონომიურ ცხოვრებაში არამედ კაცობრიობის აზროვნებაშიაც. ომის მიერ გამოწვეულმა კრიზისებმა და გაჭირვებამ გააძლიერა მაქსიმალისტური სულისკვეთება პროლეტარიატის რაზმებში, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც მწვავედ განიცადეს ომის შედეგები. ასეთ მაქსიმალისტურ სულისკვეთებას ჩვენ ვხედავთ რუსეთს გარდა საფრანგეთში, იტალიაში, გერმანიაში, სწორედ იმ ქვეყნებში, რომელთა წარმოება განადგურდა ომის თუ სხვა და სხვა ზავის დასამყარებელ თათბირების პროცესში. საფრანგეთში გერმანელების მიერ სრულიად განადგურდა საუკეთესო სამრეწველო ცენტრები, გერმანიაში მოკავშირეების მეტად მძიმე საზავო პირობებმა სრულიად გააღატაკა გერმანელი ხალხი და სპარტაკიზმის გაძლიერებას სწორედ მოკავშირეების ულმობელმა პოლიტიკამ შეუწყო ხელი, ბრძოლის ველზე გამარჯვებული იტალია ეკონომიურად დამარცხებული გამოვიდა ბრძოლის ალიდან. და ასე ამ რიგად ჩვენ ვხედავთ, რომ ომმა ამ ქვეყნებში მეტად ნოყიერი ნიადაგი მოამზადა მაქსიმალისტურ ტენდენციებისათვის.

მაგრამ ამ ქვეყნების მუშათა კლასის წარმომადგენლების მიერ საბჭოთა მმართველობის ადგილობრივ გაცნობამ და მათმა სასტიკმა განაჩენმა, კომუნისტური დიქტატურის უარყოფითი დაფასებამ, და იმ საშინელი მდგომარეობის სურათმა, რომელიც ევროპის მუშათა კლასის წარმომადგენელმა ნახეს იქ, სადაც კომუნიზმის მოციქულები კაცობრიობისათვის ბედნიერებას სჭედენ, დიდათ გამოაფხიზლა ევროპის მუშათა კლასი. ეხლა ევროპაში საბჭოთა რუსეთში გამეფებულ ბედნიერებას ისეთი ბრმა ნდობით არ ეპყრობიან, როგორც წინათ.

საფრანგეთში მუშათა კლასი, რომელიც შეკავშირებულია შრომის საყოველთაო ფედერაციაში მტრულად არის განწყობილი საბჭოთა მმართველობის მიმართ.

გერმანიაში საბჭოთა, მმართველობისადმი გუშინ კეთილად განწყობილ წრეებსაც კი დიდი გამოფხიზლება ეტყობა.

ამ გამოფხიზლებას თვით კომუნისტებმა შეუწყვეს ხელი. მკითხველებს ალბათ ეცოდინება, რომ სპარტაკელებმა გერმანიაში მოაწყვეს ,,გერმანელ მუშების რუსეთში გადასახლების საზოგადოება", რომლის ერთ ერთი ორგანიზატორი ლეიპციგის ,,საბჭოთა გაზეთის'' (Räte-Zeitung) რედაქტორი კომუნისტი გუმპრიხი არის.

გუმპრიხი უწინ აქებდა საბჭოთა წყობილებას და მისი დახმარებით მრავალი მუშა გაიგზავნა რუსეთში, სადაც მათ ბედნიერებას და სამოთხეს პირდებოდენ.

,,Räte Zeitung-ის'' სამ სექტემბრის ნომერში დაიბეჭდა წერილი სათაურით ,,გაფრთხილება'', რომელშიც აფრთხილებენ მუშებს არ შემცდარიყვენ და საბჭოთა რუსეთში არ გადასახლებულიყვენ. ამ წერილს შემდეგ მიყვებოდა გუმპრიხის წერილი, სადაც შავი ფერებით იყო აწერილი მდგომარეობა საბჭოთა რუსეთში. ,,გლეხებიო, ეუბნება გუმპრიხი თავის მკითხველებს, ახლოს არ იკარებენ კომუნისტებს, ქალაქის მცხოვრებნი ითმენენ მას მხოლოდ ხიშტების შიშით. სახელმწიფოში სიმშილი და სიცივე არის გამეფებულიო. მეურნეობა და მრეწველობა განადგურებულია და არ არის იმედი მისი აღდგენისო.

ამ რიგად დამოუკიდებელ დიტმანის შეხედულებანი საბჭოთა რუსეთის შესახებ სავსებით სწორი გამოდგა.

თუ იმ ქვეყანაში, სადაც ზავის მეტად მძიმე პირობებმა ნოყიერი ნიადაგი შექმნა მაქსიმალისტურ მისწრაფებებისათვის, რუსულ კომუნიზმის მონათესავე ელემენტებსაც კი ეტყობა ერთგვარი გამოფხიზლება, ინგლისში, სადაც მუშათა მოძრაობის სიჯანსაღე ერთი წუთითაც არ შერყეულა, მშრომელთა რაზმები მტკიცე და მედგარია, ბოლშევიკურ მეთოდებს უარყოფს მთელი მუშათა კლასი.

არა მარტო ინგლისის ტრედ-უნიონები და სოციალისტური პარტია, არამედ კომუნისტური პარტიაც კი უარყოფს რუს ბოლშევიკების კომუნისტურ მეთოდებს.

,,ეს კონფერენცია თუმცა კომუნისტურია, მაგრამ ქვეყანამ უნდა იცოდეს, რომ ინგლისელ მუშის აზრით ლენინი წინასწარმეტყველი არაა და მისი კომუნისტური რეცეპტი ინგლისისათვის მიუღებელია".

,,ინგლისის პროლეტარიატი უნდა ერიდოს ტყვიისმფრქვეველით გატაცებას იქ, სადაც მხოლოდ გონიერებაა საჭირო. ნამდვილ რევოლიუციონურად ყოფნა მხოლოდ მშვიდობიან კაცს შეუძლია".

აი ასეთი ფრაზები ისმოდა ინგლისის კომუნისტთა კონფერენციაზე;

თუ ინგლისელი კომუნისტები ამ გზას ადგია, რა პოზიციის იქნება ინგლისის ტრედ-უნიონები.

საუკეთესო პასუხს ამაზე იძლევა ფილიპ სნოუდენის წერილი გაზ. ,,ვოლია როსიის'' (გამოდის პრაგაში) № 1-ში.

,,ინგლისის ხალხი მუდამ თანაუგრძნობდა და ახლაც თანაუგრძნობს რუსეთის რევოლიუციას''.

მაგრამ

,,ბრიტანიაში—არც მუშები, არც სოციალისტები—არ სცნობენ შესაძლებლად ან სასურველად სოციალიზმის შემოღებას ძალადობის რევოლიუციით, როგორც ამას რუსი ბოლშევიკები ქადაგობენ. პროლეტარიატის დიქტატურა, უმცირესობის ტირანია უმრავლესობაზე, პრესის თავისუფლების მოსპობა და საერთოდ

არის თუ არა ქალაქის ეროვნულ სკოლებში შემოღებული იქნას სახელმწიფო ენა. საკითხი უნდა განხილულ იქნას ყოველმხრივ და წარმოდგენილ ხალხის თანხმობის სა-კოლო კომისიასთან ერთად. თათბირს მოხსენდა, რომ პროფესიონალ. კავშირთა სეკრეტარიატმა დაუთმო თავისი საჭიროებისთვის ჩამორთმეული სახლი, კომერციული კლუბი. ბინა ქალაქის ერთ-ერთ სკოლის დასაბინავებლად. თათბირმა დაადგინა: მადლობა მოხსენდეს პროფესიონალური კავშირთა საბჭოს.

11 ოქტომბერს შრომის ბირჟაში გამოცხადდა 62 უმუშევარი (26 მამაკაცი და 36 ქალი) ჩაეწერა კიდევ 11 უმუშევარი.

გუშინ საგანგებო კომისარი ბ-ნი ბენია ჩხიკვიშვილი დასასვენებლად გაემგზავრა, სადგურზე გააცილეს ქალაქის თავმა ბ-ნმა გიგო ანჯაფარიძემ ჯარების სარდალმა გენერალმა მდივანმა, საქმეთა მმართველმა ს. მამფორიამ, მაზრის თავმჯდომარემ ბ-ნ მ მელ-მედ აბაშიძემ ნაცნობ მეგობრებმა და პრესის წარმომადგენლებმა.

საგანგებო კომისრის თანაშემწეობის ასრულებას შეუდგა გ. ნ-რალი მდივანი.

პირველი უბნის კომისარიატში მისულა ინგლისის კრეისერ „კალიპსოს"-ს მატროსი ჯონნაიტი და განუცხადებია: როდესაც ის შევიდა სავახშმოთ ინგლისელების კაფე „ფელოფილაქტოში". (დონდუკოვ. ქ. № 21.) მასთან მივიდა ხაიმ ფუქსი და თხოვა დაეხურდავებინა ათ გირვანქიანი სტერლინგი. მან გამოართვა ხაიმ ფუქს ათ გირვანქიანი სტერლინგი და ქართულ ბონებზე გადახურდავებული 37000 მ. გადაცა ფუქს. როგორც შემდეგ გამოირკვა სტერლინგი ყალბი გამომდგარა. პირველი უბნის კომისარიატს. როგორც გამოურკვევია ფუქსი ამ ხელობას დიდი ხანი ეწევა. გამოძიება სწარმოებს.

### ოლქში.

ქედის წითელი ჯვრის საავადმყოფოდან გაიპარა საავადმყოფოს სოსამსახურე აკიმოვი, რომელმაც თან წაიღო საავადმყოფოს ნივთები. აკიმოვი შეპყრობილი იქნა და ოლქის სატუსაღოში მოათავსეს.

სოფ. ფერიაში ბოროტმოქმედებმა გიძარცვეს გიორგი და ბაბუსი ჩხეიძეები, წაიღეს 160,000 მანეთი. ყაჩაღთა აღმოსაჩენათ მიღებულია ზომები.

სოფ. ორთა-ხიხნაში 16 ოქტომბერს მოკლული მევლუდ სალაძის მკვლელნი ყედირ ნეზგიოღლი და ოსმან დედე მემედ-ოღლი, იმავე სოფლის მცხოვრებნი, ოლქის მილიციის მიერ შეპყრობილ იქნენ და ბათუმის ოლქის საპყრობილეში მოათავსეს.

## ქემალისტების თავდასხმა სომხეთზე.

(სომხეთის რესპუბლიკის ბათუმის საკონსულოს საინფ. განყ. ცნობა).

ფრონტზე.

7 ოქტომბერს სარაყამიშის და მერდენეკის ფრონტზე მზვერავთა მოქმედებაა.

8 ოქტ. ჩვენმა ფრინავებმა ბომბები გადმოყარეს ოსმალთა პოზიციებზე სუმადაშ-კაიას მთასთან.

კაინიხის მთასთან ჩვენი ჯარებს წინსვლის დროს ოსმალთა ჯარების ძლიერი წინაამდეგობა შეხვდათ.

7 ოქტომბერს სურმალუსთან სამასი ცხენოსანი და ქვეითი ქურთი მოუახლოვდა ჩვენს პოზიციებს, მცირე სროლის შემდეგ (?) დაკარგეს და უკან დაიხიეს.

ერივანში.

ერივანში დაინიშნა წითელი ჯვრის კვირა ფრონტისთვის ნივთების, ფულის და სხვ. შეკრებით დახმარების აღმოსაჩენათ.

სომხეთის ყველა პოლიტიკურმა პარტიებმა მოწოდება გამოუშვეს, რომელშიც მოუწოდებენ ყველას სამშობლოსათვის საბედისწერო ჟამს დავიწყებული იქნას ყოველივე პარტიული უთანხმოება, შემოკრბენ მთავრობის გარშემო და სოლიდარული და ერთსულოვანი მუშაობით უკუაგდონ სომხეთის საუკუნოებრივი მტერი.

ამერიკიდან დაბრუნებული ყოფილი პრემიერი კაჩაზნუნი, რომელსაც ალექსანდროპოლიდან ერევანში მოელოდენ, უბრალო მოხალისეთ გაემგზავრა ფრონტზე.

12 ოქტომბერი

სომხეთი ჯარების სარდლის ცნობა.

ფრონტზე

სარაყამიშის მიმართულებით საღამოს 10 ოქტომბერს ქემალისტები სოფ. იალოხნამიდან და ივანპოლიდან სოფ. იგდირზე შეტევაზე გადმოვიდენ, ბრძოლა გრძელდება.

8 და 9 ოქტომბერს სწარმოებდა ბრძოლა მტერთან, რომელსაც სოფ. ცემურკაპთან მაგარი პოზიცია ეჭირა.

ზარუბადში ჩვენი ჯარები მივიდა სოფ. კერე-შენამდი, რომელიც ჩალდირის ტბის დასავლეთ ნაპირზე მდებარეობს. მუსლიმანი მცხოვრები წინაამდეგობას არ გვიწევენ.

საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელი სომხეთში.

11 ოქტომბერს დილით ერივანში ჩამოვიდა საბჭოთა რუსეთის სრულ უფლებიანი წარმომადგენელი სომხეთში ლეგრანი.

## შეიბრალეთ ბერძნები!

პირ სახის ძვლები წამოჩრიათ, თვალები ნახშობიათ, ტანში მოხრილან, ველარც სტირიან. ვერც იცინიან, მხოლოდ კვდებიან!...

— უკანონო შვილნი ადამისა!.. ასე თუ არ არის რა დააშავეს?..

ღია ცის ქვეშ, უსაგებ-სახურავოთ უქმელ—უსმელად ასობით და ათასობით სწყდებიან ელინები.

ვინ ჩაიდინა ბოროტება? ვინ მოჰგლიჯა ესენი კერას ოჯახურს?.. ან საით მიჰყავთ? ბერძნული საზოგადოება, ეროვნული საბჭო და ოფიციალი მისია, რათ არიან ასე გულცივები ბერძენთა წამების მიმართ!.

ბერძნულ ბურჟუაზიას არ ძალუძს ნივთიერად მიეშველოს და მომაკვდავნი მოასულიეროს?..

არავინ არის გამკითხავი. ბავშვები მთებში მიდიან და იქ ეყრებიან წუთისოფელს, მამაკაცები ირევიან, დედაკაცები თავს იღრჩობენ...

ამისთანა ბედს უმართებულოდ დასჯილ ხალხისას ჩვენი რესპუბლიკა ვერ მოითმენს.

ოფიციალურად და კატეგორიულად უნდა მოეთხოვოს ვისზედაც ჯერ არს ბერძნის გამოქცეულებს მიხედონ.

ბერძნის ბურჟუაზიამ თავი უნდა დაიბეგროს და ორი [illegible] ამოიღოს თავის ჯიბიდან ბერძნების სასარგებლოდ!..

ქალაქის თვითმართველობამ უნდა წარმოიდგინოს გულშემზარავი ამბები ქალაქის განაპირა უბნებში ე. წ. სიკვდილის სამეფოში რომ ხდება.

ქალაქის თვითმართველობამ ყველა შესაძლო ღონე უნდა იძიოს ბერძენთა ბედის შესამსუბუქებლად..

ბათუმის საზოგადოებამ, და ყველა იმან, ვისაც ადამიანის გული აქვს, ბერძნებისთვის თავი უნდა შეიწუხოს და მათ მოწამობრივ ყოფის შესამსუბუქებლად ხელი გაანძრიოს.

ნუ ვიქნებით გულქვანი, გაუკითხავდეთ საწამებლად გამოიყურ ბერძნებს.. ჩვენ მოუწოდებთ ბერძნის შეძლებულ ხალხს და ყველას დაარსონ რამდენიმე დამხმარე ჯგუფი. შეაგროვონ შემოწირულება და მოაწყონ გამოქცეულთა დღე...

გვებრალებოდეს საწყალი ბერძნები!

ჩვენ. წინ ნუ დაილუპებიან ისინი მოწამობრივ სიკვდილით...

ზამთრდება, მათ სცივათ...

დღე ფხიზლად და რეალურად იზრუნონ ბერძნების საჩქაროდ აქედან გაგზავნისთვის, ხოლო მანამდე კი უნდა მოხდეს ფართე დახმარება ყველა საზოგადოებრივ ჯგუფებისგან და განსაკუთრებით კი ბერძნის ბურჟუაზიისგან...

შეიბრალეთ ბერძნები!...

Hérécle

## უცხოეთში.

### საფრანგეთი.

საქსოვ ქარხნების მუშები მე-III მე ინტერნაციონალის წინააღმდეგ.

საფრანგეთის საქსოვ ქარხნების მუშათა ნაციონ. კონფერენციამ რუენში 5256 ხმით 377 წინააღმდეგ უარყო წინადადება მესამე ინტერნაციონალთან შეერთების შესახებ.

კაშენის წერილი.

„ჭეშმარიტ დემოკრატიის სახელით, სწერს საბჭოთა რუსეთიდან დაბრუნებული კაშენი გაზ. „L' Humanité"-ში, აქ ყვირიან „ჩრეზვიჩაიკების საზარელ ექსცესებზე. მაგრამ რუს მუშებს, რომ თავდასხმის, ბომბების, მოღალატეობის, მტრებთან შეთანხმების, სულით დაცემის მქადაგებელთა და აღშფოთების წინააღმდეგ შინაური თავდაცვა არ მოეწყოთ, ისინი დაიღუპებოდენ და მათთან ერთად დაიღუპებოდა რევოლიუციონური იმედი, რომელიც მთელი მსოფლიოს მოელდა."

ამ რიგად კომუნიზმის მოციქული საფრანგეთში კაშენი ერთხელ კიდევ ამტკიცებს ბოლშევიზმის მოწინააღმდეგეთა აზრს, რომ ბოლშევიზმი მხოლოდ ხიშტებით და ჩრეზვიჩაიკების საშვალებით ცოცხლობს,

„Journal des Debats" პეტლიურას შესახებ.

„Journal des Debats" პეტლიურას შესახებ სწერს:

პოლონელებმა უარი უნდა სთქვან უკრაინის შესახებ ლაპარაკზე და უნდა დასტოვონ პეტლიურა თავისი

ყველა ის იდეები და მეთოდები კომუნისტური რევოლიუციისა, რომელსაც ქადაგებენ ბოლშევიკები და მესამე ინტერნაციონალი, ყველა ეს მხოლოდ ზიზღს იწვევს ინგლისის ხალხში.

მუშათა პარტიის უკანასკნელ კონფერენციაზე, რომელიც მიმდინარე წლის ივნისში მოხდა, შემოტანილ იქნა წინადადება მუშათა პარტიის მესამე ინტერნაციონალთან შეერთების შესახებ. შეერთებას ხმა მისცა მხოლოდ 250.000 კაცმა იმ დროს, როცა მესამე ინტერნაციონალში შესვლის წინააღმდეგ მიცემულ იქნა 2.940.000 ხმა".

ფ. სნოუდენი ასე ათავებს თავის წერილს: „ბრიტანეთის ხალხს და კერძოდ ბრიტანეთის სოციალისტებს და ტრედ-უნიონებს—სურს იხილოს რუსეთის ხალხი თავისუფალი და ბედნიერი. მათ სურთ ძმური განწყობილება იქონიონ რუსეთის სოციალისტებთან. მაგრამ მსოფლიო სოციალიზმის შექმნაში შეუძლებელია თანამშრომლობა ხალხთან, რომლებიც სარგებლობენ არანაკლებ არადემოკრატიული და ტირანიული მეთოდებით, ვიდრე ის, რომელსაც ძველი მეფის მთავრობა მიმართავდა".

ამას ამბობს ინგლისის პროლეტარიატის წარმომადგენელი. ამ სიტყვებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქართველოს დემოკრატიისათვის, რადგან სოციალისტური აღმაშენებლობა შეუძლია მარტოდ ჯანსაღ, მთლიან რიგების მქონე პროლეტარიატს. იქ სადაც სოციალისტური ლაშქარი დაქსაქსულია, არ არის ერთსულოვანი, სოციალიზმისკენ გადადგმულ ნაბიჯებს მოყვება სამოქალაქო ომი, რაც მუშათა კლასის გამარჯვებას პრობლემატიურად ხდის.

ინგლისის მუშათა კლასი ერთსულოვანია თავის პოლიტიკაში, ის უარყოფს უტოპიზმის გზას და მოსკოვულ დიქტატორთა მეთოდებს.

მოსკოველი კომუნისტები თვალებს უხვევენ რუსეთის მუშათა კლასს, ეუბნებიან: ინგლისის მუშათა კლასმა „მიიღო ჩვენი ცნებაო". ნამდვილათ ინგლისის მუშათა კლასმა სასტიკი განაჩენი გამოუტანა ბოლშევიკური რეჟიმს.

ლონდონი და მოსკოვი — აი საითკენ არის მიქცეული დღეს ყველას ყურადღება და მათ შორის სოციალისტებისაც.

ვინც ლონდონთან არის ის არის ევროპის მუშათა კლასთან, ვინც მოსკოვს სთვლის სოციალიზმის მექად, ის აზიის ფანატიკოსებთან კრავს კავშირს.

ევროპის მუშათა კლასის დიდმა უმრავლესობამ უარყო მესამე ინტერნაციონალის გზა. მართალია მას ჯერ არ შეუქმნია ერთი, მთლიანი ინტერნაციონალი, მაგრამ მოსკოველ კომუნისტების გზის უარყოფა თავის თავად თავდებია იმის, რომ ახალი, ნამდვილი ინტერნაციონალი შექმნილი იქნება.

ი. წ—ძე.

ძალებით გაუმკლავდეს ბოლშევიზმს. ეს ავანტიურისტი, რომელიც შემთხვევით დიდ კაცად ჩათვალეს, არაფერს არ წარმოადგენს. ის მორიგეობით ყველას ემსახურება.

## ჩეხია.

ჩეხი სოც. დემოკრატები მესამე ინტერნაც. წინააღმდეგ.

ჩეხელ სოც.-დემოკრ. ორგანოში „პრავო ლიდუ“, ი. სტივინი სწერს:

„უდავოა, რომ მესამე ინტერნაციონალში მისაღებად [illegible] პირობების მიღება, რომელიც ბრძანების სახით ითხოვს არა მარტო პიროვნებათა, არამედ მთელი ჯგუფების გამორიცხვას, რომლებიც რუს ბოლშევიკების ტაქტიკას არ იზიარებენ, ჩვენს პარტიას რასკოლამდე მიიყვანდა. ამას ვერავინ უარყოფს.

თავის თავად ბუნებრივია მუშების დიდი სურვილი შექმნან საერთაშორისო გაერთიანება. მეორე ინტერნაციონალი მოკვდა, მე უკვე ვამბობდი 1918 წლ. ყრილობაზე, რომ ახალი ინტერნაციონალი არ უნდა იყოს ბუტაფორული და განახლება უნდა მოხდეს ისეთ საფუძველზე, რომ პროლეტარიატი საბედისწერო მომენტში დაზღვეული იყოს უძლურებისაგან და დაქსაქსვისაგან. ამ პირობების მიხედვით, მესამე ინტერნაციონალმა ვერ შეასრულა თავის დანიშნულება.

ის ცდა, რომელიც მოახდინეს მოსკოვში ახალი ინტერნაციონალის შესაქმნელად უქადის ევროპის მუშათა კლასს თუ სრულ კატასტროფას არა დიდ ზარალს მაინც.

ინტერვენციის წინააღმდეგ.

ჩეხ რადიკალების ორგანო „ჩას“ სწერს:

„რუსეთ-პოლონეთის ომის დასაწყისიდან აშკარა იყო, რომ პოლონეთის იმპერიალიზმი, რა ლოზუნგებითაც არ უნდა გამოდიოდეს ის, მხოლოდ აძლიერებს მოსკოვის მთავრობას. ჩვენ მტკიცედ გვწამდა, რომ ყველაზე მეტს დახმარებას რუსეთს გაუწევს ის, ვინც უზრუნველყოფს მას ახალ ომებისგან. რუსეთის გაძლიერება, რომელშიც ჩვენ დაინტერესებულნი ვართ ისევე, როგორც თვით რუსები არ შეიძლება მიღწეულ იქნას სანამ არსებობს ომი. ომი იწვევს ცენტრალიზაციას და ამართლებს სამხედრო დიქტატურას სამშობლოს დაცვას აუცილებლობით.

ბოლშევიზმის ლიკვიდაცია შესაძლებელია მხოლოდ ომისგან თავისუფალ რუსეთში; მისი შეცვლა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა დატოვებული იქნება ყოველგვარი აზრი ინტერვენციის შესახებ. როგორი რეჟიმიც არ უნდა იყოს სასარგებლო ჩვენთვის რუსეთში, ჩვენ არ მივმართავთ მის შესაქმნელათ ინტერვენციას. ჩვენ განვაცხადეთ ჩვენს ნეიტრალიტეტის შესახებ რუსეთის საქმეებში და ამიტომ ბურცევი ტყუილად გვიწოდებს დავადგეთ საფრანგეთის გზას, რომელმაც იცნო ვრანგელის მთავრობა.“

რუსი-ტყვეები ჩეხიაში.

ჩეხიაში ამ ჟამად 12-ათასი ტყვე რუსი ჯარისკაცი იმყოფება. ბოლშევიკური მისიას გალერსონის მეთაურობით განზრახვა ქონდა ახლო მომავალში გაეგზავნა ისინი რუსეთში, მაგრამ როგორც ხმები დადის პირველი ტრანსპორტი (300 კაცი) გაიგზავნებ ჩეხო-სლოვაკიით მხოლოდ ოქტომბერში. ჩრდილო ჩეხიაში ხმებს ავრცელებენ, რომ გილერსონი, რომელიც ბოლშევიკურ აგიტაციას აწარმოებს, განზრახ სტოვებს ჩეხიაში რუს ტყვეებს, რათა ხელთ ქვეშ ყავდეს საჭირო ჯარი ბოლშევიკურ გადატრიალების შემთხვევაში.

ჩვენ უსაფუძვლოთ მიგვაჩნია ეს ხმები, მაგრამ უკეთესი იქნებოდა, რომ ბ—ნი გილერსონი ტყვეების სამშობლოში გაგზავნას აწარმოებდეს ვიდრე პოლიტიკას.

(გაზ. „ვენკოვ“—პრაგ.)

## იტალია.

მდგომარეობა იტალიაში.

12 ოქტ. 20 წ. ნახევრათ-ოფიციალური ნოტა აცხადებს, რომ კონფლიქტი ლითონის დამმუშავებელ ქარხნების მუშებთან მშვიდობიანად მიმდინარეობს.

მოლაპარაკება მრეწველთა და მუშებს შორის გრძელდება. ჯერ კონფლიქტი ეკონომიურ ფარგლებს არ გასცილებია.

„Ideal Nazional“ იუწყება, რომ მუშებმა ხელთ ჩაიგდეს ლითონის და მამუშავებული ქარხნები.

ასეთივე მოძრაობა იწყება სხვა დარგების ქარხნებშიაც.

„Temps—ი“ იუწყება, რომ მილანში მუშებმა ხელთ ჩაიგდეს ქიმიური ქარხნები.

მილანის პრეფექტმა მოლაპარაკება გამართა საყოველთაო შრომის კონფედერაციის მდივან დ'არაგონასთან.

საყოველთაო შრომის კონფედერაციის სხდომები გრძელდება. ორატორები მიუთითებენ, რომ ქვეყნის საკეთილდღეოდ საჭიროა გაძლიერებული იქნას წარმოება.

იმის გამო, რომ მწარმოებლებმა ვერ მოახერხეს ამ პრობლემის გადაჭრა, ამას მუშებმა უნდა მოკიდონ ხელი. მადაროებში მომუშავეთა კავშირის მდივანმა გაილაშქრა მუშების მიერ ქარხნების დაჭერაზე.

იტალიის მუშები მწარმოებლებთან შეთანხმების მომხრე არიან.

გავასის სააგენტოს ცნობით მუშების წარმომადგენლებმა 185 ხმის უმრავლესობით მიიღეს ზომიერი რეზოლიუცია, რომელიც შრომის კონფედერაციის მდივანმა დ'არაგონამ შემოიტანა. რეზოლიუციაში ნათლათ არის ნათქვამი, რომ კაპიტალისტური წყობილების შეცვლა აუცილებელია, რომ აუცილებელია მუშების კონტროლი წარმოებაზე, იმ პირობით თუ მუშები მიიღებენ საკმაო ტეხნიკურ მომზადებას წარმოების კოლექტიურ ნიადაგზე მოსაწყობათ. რეზოლიუცია სასურველათ სცნობს მწარმოებლებთან შეთანხმებას.

## პოლონეთი.

პოლონეთის სოციალისტების საზავო პირობები.

„Figaro“-ს ვარშავიდან ატყობინებენ:

პოლონეთის სოციალისტური პარტიის წარმომადგენელთა და პარლამენტის წევრ სოციალისტთა ყრილობამ, რომელიც მოწვეული იყო საზავო პირობების გამოსამუშავებლად, ერთხმად მიიღო შემდეგი მნიშვნელოვანი რეზოლიუცია:

1) რუსეთის და პოლონეთის ერებს შორის მეგობრული ურთიერთობის აღდგენა არის ისტორიული აუცილებლობა და ზავისათვის უმნიშვნელესი პირობა.

2.) პოლონეთის აღმოსავლეთი საზღვარი უნდა დაიდვას ეთნოგრაფიული პრინციპის მიხედვით და ორივე მეომარ სახელმწიფოთა სასიცოცხლო ინტერესების მხედველობაში მიღებით.

3.) რაც შეეხება ერებს, რომლებიც ეთნოგრაფიულ რუსეთსა და პოლონეთ შუა ცხოვრობენ, პოლონეთს აქვს უფლება მოითხოვოს, რომ ამ ხალხებს მიეცეს თვითგამორკვევის უფლება, რადგან ისინი შევიდენ რუსეთის სახელმწიფოში არა ნებაყოფილობით, არამედ სამხედრო გამარჯვების შედეგში. ყოველ შემთხვევაში ეს კითხვა არ უნდა გადაიჭრას რუსეთ-პოლონეთს შორის იარაღით ბრძოლის გზით, არამედ უნდა ჰპოვოს თავისი გადაჭრა თვით ამ ხალხების განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

4.) პოლონეთის სოციალისტური პარტია სცნობს, რომ ლიტვასა და საბჭოთა რუსეთს შორის დადებული ხელშეკრულება, არის იმპერიალისტური ხელშეკრულება, რომელსაც პოლონეთის რესპუბლიკა ვერავითარ შემთხვევაში ვერ სცნობს. ვილნოს და გროდნოს გუბერნიების ბედი არის პოლონეთის და ლიტვის შინაური კითხვა და ეხება მხოლოდ ამ ორ სახელმწიფოს. ეს საკითხი უნდა გადაიჭრას პოლონეთ-ლიტვის შეთანხმების გზით, თანახმად ადგილობრივ მცხოვრებთა ნებისა.

პოლონეთის პრესა აღნიშნავს, რომ პარტიულ ყრილობის მიერ ერთხმად მიღებული რეზოლიუცია სავსებით აკმაყოფილებს პოლონეთის საზოგადოებრივ აზრს.

## ინგლისში.

ინგლისის ტრედ-უნიონების კონგრესი.

6 სექტემბერს ქალაქ პორტსმუტში გაიხსნა ინგლისის ტრედ-უნიონების 52-ტე კონგრესი. უკანასკნელ კონგრესის შემდეგ დელეგატთა რიცხვი 960-დე გაიზარდა, რომლებიც წარმომადგენლები არიან 6.250.000 შეკავშირებულ მუშების.

კონგრესზე სიტყვა წარმოსთქვა ტომასმა, რომელმაც სხვათა შორის შემდეგი თქვა:

„უკანასკნელ კვირეების განმავლობაში ჩვენ განვიცადეთ მუშათა მოძრაობის თითქმის ყველაზე მნიშვნელოვანი პერიოდი —პერიოდი, როცა მუშათა კლასმა ძალები მოიკრიფა და გადასწყვიტა ბრძოლაში გამოეწვია არსებული პარლამენტარული წყობილება. ჩვენი მოქმედება გაბედული იყო. ამას ვერ უარვყოფთ. ისიც უდავოა, რომ ეს კონფლიქტი რევოლუციის საწინააღმდეგო ნაბიჯი იყო. ისეთ ქვეყანაში, როგორიც ჩვენი არის, სადაც ხალხს აქვს საკმაოდ ფართო საარჩევნო სისტემა იმისათვის, რომ თვითონვე გადასწყვიტოს თავისი ბედი, ასეთი ცვლილებები ჩვენს პოლიტიკაში ითხოვს ერთგვარ განმარტებას. მე მოხარული ვარ, რომ ვლაპარაკობ მთელი ინგლისის მუშათა კლასის სახელით და ვიმეორებ, რომ მივხედავათ ჩვენ მიერ მიღებულ სახიფათო პოლიტიკისა მე კმაყოფილი ვარ მისი შედეგებით.

არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ მუშები გახდენ ორგანიზატორები და გამომხატველები საზოგადოებრივ აზრისა და მით დაამსხვრიეს განზრახვები ზოგიერთ ჩვენ სახელმწიფო ხალხისა, რომლებიც მზად იყვნენ ერთიათ ჩვენი ქვეყანა რომელიმე განდი იმპერიალისტური პოლიტიკის კუდში.

ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა იციოდენ და იციან, რომ ჩვენი ერთად ერთი მიზანი—რუსეთთან ახალი ომის თავიდან აცილება [illegible]. ჩვენ [illegible] შევსძლით, [illegible] გაუვლია და არ გაივლის მანამ, სანამ არ დამყარდება სავსებით ზავი და არ იქნება მიღწეული შეთანხმება რუსეთის მთავრობასთან. ჩვენი ტაქტიკა რუსეთის მთავრობის მიმართ კიდევ არ ნიშნავს თითქოს საბჭოთა მართველობის მეთოდებს კეთილ-მოსაწონად ვსთვლიდეთ, და ბევრი საბჭოთა რუსეთთან ზავის მომხრეები უარყოფენ მათ. ჩვენ, ინგლისელებს, შეკავშირების და ჩვენი პოლიტიკური ძალების შეფარდებით შეგვიძლია გამოვარკვიოთ ჩვენი მართველობის ფორმა. რუსეთის ხალხს ურჩევნია საბჭოთა სისტემა. რა უყოთ—მისი საქმეა.

შემდეგ ტომასი შეეხო „მოქმედების საბჭოს“ და სთქვა:

ჩვენი მოწინააღმდეგები მოითხოვენ „მოქმედების საბჭოს“ გაუქმებას. ამაზე მე უპასუხებ შემდეგს:

საბჭო შედგა ერთი მიზნით—მას არა აქვს არავითარი უფლება და არც ფიქრობს დაიპყრას ის. მან მიიღო კატეგორიული, ნათლად გარკვეული მანდატი ყველაზე მეტად წარმოდგენილ და ერთსულოვნად განწყობილ კონგრესიდან და ამ მანდატის თანახმად ის იბრძოლებს დასახულ მიზნებისთვის, სახელდობრ პოლონეთის დამოუკიდებლობის ცნობის და საბჭოთა რუსეთთან ზავის ჩამოგდებისათვის.

მესოპოტამიის საკითხი ტრედ-უნიონების კონგრესზე.

ტრედ-უნიონების კონგრესზე მესოპოტამიის შესახებ ტომასმა განაცხადა, რომ იქ ხდება მხოლოდ მილიონების უსაფუძვლო ხარჯვა და რომ მთავრობის მოვალეობაა დაუყონებლივ სცნოს მმართველობის ის ფორმა, რომელსაც ითხოვენ არაბები და შემდეგ რაც შეიძლება დაჩქარებით წავიდეს (убраться) იქიდან.

## უკრაინა.

გლეხთა აჯანყებები.

სტანისლავოვიდან უკრაინის ბეჭდვითი ბიურო ატყობინებს: „კიევის ოფიციალური კომუნისტური ორგანო „იზვესტია“ ამ ბოლო დროს ვრცელ ცნობებს იძლევა კიევის ფრონტის შესახებ. ამ ცნობებიდან ჩანს რომ უკრაინელი აჯანყებულები ნამდვილ ბრძოლას აწარმოებენ რკინის გზის კვანძის შესანარჩუნებლათ კიევთან და პოდოლიასთან. ქ. კიევი აჯანყებულთა საფრთხის ქვეშ არის. მათ ხელმძღვანელობს ატამანი სტრუკი. კიევის კავშირი პოლტავასთან გაწყვეტილია მახნოს რაზმების მოქმედების გამო. ქალაქი უმანი 2 სექტემბერს აჯანყებულებმა ჩაიგდეს და მხოლოდ მკაცრი ბრძოლების შემდეგ, რომელიც ერთ კვირეს გაგრძელდა, შესძლეს წითელმა ნაწილებმა უკან დაებრუნებიათ. ბრძოლები ომანის შესანარჩუნებლად გრძელდება. თეთრი ეკლესიის რაიონში აჯანყებულებმა დაამხვეს საბჭოთა დაწესებულებები და უკრაინული მართვა გამგეობა შემოიღეს.

სარედაქციო კოლეგია.

დაიკარგა პირადობის მოწმობა ინგლისის საოკუპაციო მთავრობის მიერ მიცემული თედორე სტეფანესძე კუშჩევის სახელზე. № 96.
ჩაითვალოს გაუქმებულათ.

ელექტრო მბეჭდავი სტამბა ხ. შ. შმაევსკისა. მიხაილოვის ქ. № 21, ქ. ბათუმი.